ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02/4
CPV:41110000 - სასმელი წყალი

ქ. თბილისი 16 იანვარი, 2013 წელი

ერთის მხრივ ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში – შემსყიდველი), მისი უფროსის ლაშა ვერულავას სახით და მეორეს მხრივ, ი/მ ედუარდ ზაალიშვილი მისი დირექტორის ედუარდ ზაალიშვილის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა **სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და მე-10[1] მუხლის** საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სასმელი წყლითა და დისპენსერით უზრუნველყოფა.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემდეგი დასახელების პროდუქციის მიწოდება:

- არანააკლებ 150 ცალი 19 ლიტრიანი სასმელი წყლის მიწოდება (ერთეულის ღირებულებაა 8.00 ლარი);
- 240 ცალი 0,5 ლიტრიანი არაგაზირებული სასმელი წყლის მიწოდება (ერთეულის ღირებულებაა 0,40 ლარი)
- 120 ცალი 0,5 ლიტრიანი გაზირებული (მინერალური) წყლის მიწოდება (ღირებულება 0.75 ლარი)
- 200 ცალი წყლის ერთჯერადი ჭიქების უსასყიდლოდ გადმოცემა;
- 2 ცალი წყლის დისპენსერის დროებით სარგებლობაში გადმოცემა.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 16 იანვრიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **1386.00** (ერთი ათას სამას **ოთხმოცდაექვსი ლარი) ლარს (დღგ-ს ჩათვლით).**

4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. საქონლის მიწოდების წესი და ადგილი

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. N1ა.

5.2. საქონლის მიწოდება ხდება ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნისამებრ, არაუგვიანეს მომდევნო დღისა;

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1.პუნქტში მითითებული უნაკლო მომსახურება.

6.2. თუკი ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით

6.4. შემსყიდველი ვალდებულია მომსახურების სრულყოფილად გაწევის შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

6.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის განმავლობაში;

8. ხელშეკრულების ინსპექტირება

8.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

8.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირია: ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის მთავარი სპეციალისტი – ნიკოლოზ ლომსაძე.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას, მას შემდეგ რაც მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ინვოისი/ანგარიშ-ფაქტურა და შემსყიდველის მხრიდან არ არის გამოვლენილი ხარვეზი საქონელში.

9.2. მიღება-ჩაბარების აქტის შედგენას და გაფორმებას უზრუნველყოფს შემსყიდველი მხარე.

9.3. მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის დამოწმებაზე უფლებამოსილია ი/მ ,,ედუარდ ზაალიშვილის" დისტრიბუტორი.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი

ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.4. შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს გადაცემული დისპენსერები და ბალონები ხელშეკრულებით განსაზღვრული დანიშნულებით და გადასცეს (დაუბრუნოს) ისინი მიმწოდებელს შემდგომი გამოყენებისათვის ვარგის მდგომარეობაში.

11.5. ინვენტარის (დისპენსერის, ბალონის) გადაცემაა და დაბრუნება აღირიცხება "ტარის ფურცელში, რომელიც წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტს.

11.6. შემსყიდველი პასუხისმგებელია მიწოდებულ ინვენტარზე (დისპენსერზე, ბალონზე) და მიწოდებულ წყლის ღირებულების ანაზღაურებაზე. შემსყიდველს არ აქვს უფლება, რომ სხვა პირს გადსცეს მიღებული დისპენსერი და ბალონები. იგი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუბრუნოს მიმწოდებელს დისპენსერები და ბალონები.

11.7. ა)შემსყიდველი ვალდებულია წყლის ყოველი ახალი ბალონის მიწოდებისას დააბრუნოს ცარიელი 19 ლიტრიანი ბალონები (ტარა), ვარგის მდგომარეობაში წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოუწევს თითოეული ცარიელი ბალონის (ტარა) ღირებულების – 25 ლარის გადახდა.

11.8 თუ შემსყიდველის მიერ მოხდება გადაცემული დისპენსერის დაზიანება ან შემსყიდველი დაკარგავს დისპენსერს, მაშინ იგი ვალდებულია ზიანის ანაზღაურებისთვის მიმწოდებელს გადაუხადოს ყოველ დისპენსერზე 250 აშშ დოლარის ექვივალენტი საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

4.9. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიზეზით (არასწორი ექსპლოატაციით ან შენახვით) მწყობრიდან გამოვა დისპენსერი (კორპუსი, ონკანი, ჩამრთველი, დაბინძურდება შიდა სისტემა, გამოიყენება ქალაქის წყალმომარაგება), მაშინ დისპენსერის შეკეთების და გაწმენდის ხარჯები ეკისრება შემსყიდველს.
41.5. თუ შემსყიდველი 3 (სამი) თვის მანძილზე არ შეიძენს "მიმწოდებლისგან" სასმელ წყალს, მაშინ "მიმწოდებელს" შეუძლია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვა-ლდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
13.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
13.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
13.5. ხელშეკრულების 13.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

14.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ გამოიყენება;

15. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

16. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – შემსრულებელს).

მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები:

სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა" მისამართი: ქ. თბილისი ფანჯიკიძის ქ.1ა ს.კ 205300048;

უფროსი:

ლაშა ვერულავა

(ხელმოწერა)

ი/მ „ედუარდ ზაალიშვილი", მისამართი: ც. დადიანის ქუჩაN39, ს/კ01030019089, „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ნ:GE98BG0000000123100000

დირექტორი:

ედუარდ ზაალიშვილი

(ხელმოწერა)